

**აქციის
"თემატური პაკეტი „აჭარასპორტი“ დამატებითი გადასახდელის გარეშე“
პირობები**

1. აქციის "თემატური პაკეტი „აჭარასპორტი“ დამატებითი გადასახდელის გარეშე" (შემდგომში „აქცია“) ფარგლებში, ოპტიკური სილქ ტვ და ციფრული (სატელევიზიო სიგნალის მიმღები ანტენით) სატელევიზიო მომსახურების მიმღები აბონენტები, შეძლებენ ისარგებლონ თემატური პაკეტით "აჭარასპორტი" - სააბონენტო გადასახდელის გარეშე.
2. აქციით სარგებლობას შეძლებენ:
 - 2.1. ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების და ციფრული (სატელევიზიო სიგნალის მიმღები ანტენით) სატელევიზიო მომსახურების (ნებისმიერი ძირითადი პაკეტის) მიმღები აბონენტები;
 - 2.2. ოპტიკურ სილქ ტვ მომსახურების ან ციფრული (სატელევიზიო სიგნალის მიმღები ანტენით) სატელევიზიო მომსახურების (ნებისმიერი ძირითადი პაკეტის) მიღების მსურველი პირები.
3. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება:
 - ოპტიკური სილქ ტვ მომსახურებისთვის 2020 წლის 5 ნოემბრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
 - ციფრული (სატელევიზიო სიგნალის მიმღები ანტენით) სატელევიზიო მომსახურებისთვის 2020 წლის 13 ნოემბრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4. აქციის პირობით რეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება - 2022 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
5. აქციის აქტივაცია:
 - 5.1. დანართის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, აქცია გაუაქტიურდება ავტომატურად.
 - 5.2. დანართის 2.2. პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, აქცია გაუაქტიურდება ავტომატურად, თუ სატელევიზიო მომსახურების ჩართვა (რეგისტრაცია და შემდეგ ინსტალაცია) განხორციელდება მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში.
6. აქციის აქტივაცია მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აქციის აქტივაციის მომენტისთვის, სატელევიზიო მომსახურება არის აქტიური (არ არის დროებით შეჩერებული ან შეზღუდული დავალიანების გადაუხდელობის გამო) და აბონენტს არ აქვს დაფიქსირებული უარი ავტომატურად გააქტიურებადი აქციების ჩართვაზე.
7. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტისთვის აქციის აქტივაციიდან - 1 თვის ვადით.
8. აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ უარი განაცხადონ აქციის პირობებით სარგებლობაზე, ამისათვის აბონენტმა უნდა გააუქმოს თემატური პაკეტი "აჭარასპორტი". ამასთან, სურვილის შემთხვევაში აბონენტს არ ეზღუდება აღნიშნული თემატური პაკეტის სტანდარტული პირობებით აქტივაცია. აქციაზე უარის შემთხვევაში, ან აქციის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ აბონენტებს ეზღუდებათ ხელმეორედ აქციაში ჩართვის შესაძლებლობა.
9. აქციის მოქმედების ვადის ამოწურვისას, აბონენტებს, რომლებიც აქციის დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ არ გაიუქმებენ აქციით გააქტიურებულ თემატურ პაკეტს „აჭარასპორტი“, შეუწარმობენ თემატური პაკეტი და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება (აღნიშნულის თაობაზე აბონენტებს აქციის დასრულებამდე წინასწარ ეცნობება სმს შეტყობინებით).
10. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება აქციაში ჩართული მომსახურების დროებით შეჩერების შესაძლებლობა.
11. მომსახურებების დროებით შეჩერების პერიოდში (გარდა დანართის მე-12 პუნქტისა), აქციის მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას. დროებით შეჩერებული მომსახურების აღდგენის შემდეგ გაგრძელდება აქციის პირობები (თუ არ არის ამოწურული აქციის მოქმედების ვადა).
12. აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ 2020 წლის 15 იანვრამდე მოქმედი ოპტიკური (GPON/P2P) სილქ ტვ მომსახურების ძირითადი პაკეტებით, მომსახურების დროებით შეჩერებისას (რაც იწვევს 2020 წლის 15 იანვრის შემდეგ მოქმედ პაკეტებზე გადასვლას), შეეზღუდებათ აქციის პირობები.
13. აქციის მოქმედების პერიოდში (გარდა დანართის მე-14 პუნქტისა), აბონენტს არ ეზღუდება სატარიფო

გეგმის ცვლილების შესაძლებლობა. სილქ ტვ მომსახურების ძირითადი პაკეტის სხვა პაკეტით ცვლილებისას, აქციის მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას.

14. აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ 2020 წლის 15 იანვრამდე მოქმედი ოპტიკური (GPON/P2P) სილქ ტვ მომსახურების ძირითადი პაკეტებით, სააბონენტო პაკეტის ცვლილებისას (და ნებისმიერი ცვლილება რაც იწვევს 2020 წლის 15 იანვრის შემდეგ მოქმედ პაკეტებზე გადასვლას), შეეზღუდებათ აქციის პირობები.
15. აქციაში ჩართულ აბონენტს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია არ გადაყვება ახალ მისამართზე. მისამართის ცვლილებისას აქცია შეწყდება.

მომსახურების ტარიფები	
თემატური პაკეტის „აჭარასპორტი“ სტანდარტული ღირებულება	აქციის ფარგლებში განსაზღვრული ღირებულება
3 ლარი	გადასახდელის გარეშე